საერთაშორისო შეხვედრა
“ფორვერტსი” – “დინამო”

“ფორვერტსი” (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) – შპიკენაგელი, მიუკლიჰი, სენი, მაროტცკე, შერბაუმი, ბაუმანი, ებერტი, გაიკოვი, რაიჰელტი, ვოლფი, ვაიგელი.

“დინამო” (თბილისი) – მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, სარჯველაძე, მახარაძე, ნ. გაგნიძე, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, ღოღობერიძე, ანთაძე, თოდრია.

მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფოლკე ნიუბერგი (ფინეთი).

მეორე საერთაშორისო შეხვედრამ მიმდინარე სეზონში დასავლეთ გერმანიის ერთ–ერთ საუკეთესო გუნდს “ფორვერტსა” და თბილისის “დინამოს” შორის უდიდესი ინტერესი გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობაში. მატჩზე დამსწრეთა შორის მრავლად იყვნენ ჩამოსულები სხვა რესპუბლიკების ქალაქებიდან, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან.

თამაში სტუმრებმა დაიწყეს და მარღანია პირველივე წუთზე ჩაება თამაშში. სულ ცოტა ხანში ბურთმა ორივე საჯარიმო მოედანზე მოასწრო რამდენჯერმე გადანაცვლება. როგორც გერმანელი, ისე ქართველი ფეხბურთელები თავიდანვე მეტად მაღალი ტემპით მოქმედებდნენ. პირველი ურთიერთშეტევების შემდეგ ინიციატივა დინამოელებმა აიღეს ხელთ. მათ თავდამსხმელებს უფრო გეგმიანი და მოფიქრებული შეტევები ჰქონდათ. ერთ–ერთი შეტევისას სტუმრების მეკარემ შპიკენაგელმა უკანასკნელ წამს მოუსწრო ღოღობერიძეს და ფეხებიდან ააცალა ბურთი, ხოლო ცოტა ხანში კოტრიკაძის მიერ კართან ჩაწოდებული ბურთი შერბაუმმა თავით მოიგერია. თბილისელები მორიგეობით, ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფლანგიდან უტევდნენ.

მე–6 წუთზე ღოღობერიძემ საჯარიმო მოედნის სიახლოვეს მიიღო ბურთი და უკან გადასცა მახარაძეს, რომელმაც დაახლოებით 28 მეტრის მანძილიდან მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი ისე გაეხვია ბადეში, რომ მეკარე არც განძრეულა – 1:0.

მარცხს სტუმრებმა სწრაფი და ენერგიული შეტევით უპასუხეს. მათი თავდამსხმელები კარგად ირჩევდნენ ადგილს, ბევრს მოძრაობდნენ, შესანიშნავად თამაშობდნენ თავით. მალე გაიკოვმა ზუსტი გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა რაიჰელტი და ელოშვილმა და რუსაძემ ძნელ ბრძოლაში მოიგერიეს ბურთი.

თამაშის მე–12 წუთია. ნ. გაგნიძემ იმავე პოზიციაში, სადაც პირველად მახარაძემ, მიიღო ბურთი და ისევე მოულოდნელად დაარტყა კარში. მეკარემ დაიჭირა ბურთი, მაგრამ გაუვარდა ხელიდან… 2:0. “ფორვერტსმა” კიდევ უფრო გამოაცოცხლა თამაში. თავდამსხმელებმა მოუმატეს ტემპს, მათ რიგებში უშუალოდ ჩაება ნახევარმცველი შერბაუმი, რომელმაც რამდენჯერმე შორი მანძილიდან დაარტყა კარში. ერთ-ერთი შეტევისას ვოლფი სწრაფად გავიდა მარჯვენა ფრთაზე და ჩააწოდა კარის წინ. სარჯველაძემ მოუსწრო გადაცემას, მაგრამ ბურთი აუცდა ფეხზე და საკუთარი კარისაკენ გაგზავნა. მარღანია დროზე გამოვიდა წინ და აიღო ბურთი.

შემდეგ თამაში გათანაბრდა და ბურთი უმეტესად მოედნის შუაგულში ტრიალებდა. აღსანიშნავია, რომ გერმანელი ფეხბურთელები განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ შუა მოედანზე. ისინი ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, სწრაფად დარბიან. ხშირად გადიან კარის სიახლოვეს, მაგრამ შეტევის უკანასკნელი

ფაზა და კარში დარტყმა სათანადოდ არა აქვთ დამუშავებული და ამიტომ ბევრი მათი ეფექტური კომბინაცია გადამწყვეტ მომენტში უშედეგოდ მთავრდება.

33–ე წუთზე კოტრიკაძემ ძლიერი დარტყმით შორი მანძილიდან დაამთავრა პარტნიორების მიერ გათამაშებული მრავალსვლიანი კომბინაცია, მაგრამ სტუმრების მეკარემ სწრაფი ნახტომით დაბალ კუთხეში მოიგერია ძლიერად დარტყმული ბურთი. ტაიმის დასასრულამდე "ფორვერტსს" ჰქონდა რამდენიმე კარგი შესაძლებლობა (ერთი მათგანი მარღანიას კარიდან არასწორი გამოსვლის გამო), მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. გუნდები წავიდნენ შესვენებაზე ანგარიშით 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ, მეორე წუთზე სტუმრების მოულოდნელი შეტევა დამთავრდა ებერტის დარტყმით კარში. ბურთი ბადეში გაეხვია. გატანილმა გოლმა აღაფრთოვანა გერმანელი ფეხბურთელები. 20 წუთის განმავლობაში ისინი თითქმის მთლიანად ფლობდნენ მოედანს. თავდამსხმელები უტევდნენ გაშლილი ფრონტით. მათ კარგად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები. "დინამოს" დაცვას ამ ხნის განმავლობაში სრული დატვირთვით მოუხდა მუშაობა. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მარღანიამ. სტუმრების ხანგრძლივ, საფუძვლიან შეტევას შედეგი არ მოჰყოლია – დინამოელებმა შეძლეს კარის დაცვა.

24–ე წუთზე თბილისელებმა თამაში მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაიტანეს. კოტრიკაძე და კ. გაგნიძე, სწრაფი გადაცემებით გავიდნენ მოწინააღმდეგის კართან. აქ გაგნიძის უკანასკნელი მოწოდებიდან კოტრიკაძემ წინდახედულად გაუშვა ბურთი ფეხებშუა და ღოღობერიძემ ახლო მანძილიდან მესამე ბურთი გაიტანა. ამან თბილისელთა თამაშში გარდატეხა შეიტანა, გუნდი უფრო ენერგიულად და მონდომებით ამოქმედდა.

განსაკუთრებით ეფექტური იყო თბილისელთა შეტევები მარჯვენა ფრთიდან, სადაც კოტრიკაძე და კ. გაგნიძე დაუღალავად ავიწროებდნენ მოწინააღმდეგის დაცვას. ცენტრში რამდენჯერმე კარგად გავიდა ღოღობერიძე. მხოლოდ ანთაძე აგვიანებდა კართან გასვლას.

მალე ორივე გუნდში მოხდა ცვლილება: "დინამოში" კოტრიკაძისა და ელოშვილის ნაცვლად გამოვიდნენ გოგლიძე და ჭკუასელი, "ფორვერტსში" გაიკოვი და მაროტცკე შეცვალეს ფრეილიჰმა და ეილიცმა.

23 ივნისი, 1954 წ.